

გაზეთი ზეგნივს, „ზეგნივს“ ერთი

# ვერსია



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№65 (821) 12 - 13 ივნისი, 2013 წელი

**მუშაობს თუ არა ქართული დაზვერვა და  
სად არის გელა ბეჟუაშვილი – სააკაშვილის  
„პირადი მემობარი ბოლო ოცი წლის განმავლობაში“**

# მხოლოდ 40 თეთრი

ჯოზეფ ქვი უგულავას, კახიკაშვილს, მერაბიშვილსა და ალექსიშვილს ბრალს სდებს და უკანონოდ წართმეული ქარხნის დაბრუნებას ითხოვს



33. 3



33. 2

ჯანდაცვის სპინდოლოდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული თანამშრომლები სამსახურში აღდგენას ითხოვენ

33. 8

**გელაშვიან ფოფხაძე:  
„სასამართლო სისტემა  
კიდეც დიდხანს იქნება  
პოლიტიზებული!“**



**მერაბ ტურავე:  
„არსებული  
სასამართლო სისტემის  
პირობებში, ქვეყანაში  
სამართლიანობის  
აღდგენა ვერ  
მოსერხდება“**


33. 5



33. 6

**სქემა, რომლითაც  
ჯარისკაცებს ავღანეთში  
ნასვლას აიძულებენ**

**გია ანჩაბაძე:  
„სირიიდან  
აფხაზეთში  
400-ზე მეტი  
აღამიანი  
დაბრუნდა და  
ივნისში კიდეც  
145-ს ელიან“**



33. 10



33. 7



# მუშაობს თუ არა ქართული დაზვერვა და სად არის გელა ბეჟუაშვილი – სააკაშვილის „პირადი მემობარი ბოლო ოსი წლის განმავლობაში“



ინტერვიუ კომპანია 599-95-33-16

„ეს არ არის კლასიკური დაზვერვა, რომელიც ფილმებში გვინახავს, ესაა უწყება, რომლის მთავარი ამოცანაა ამ, ძალიან რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, რომელშიც საქართველო იმყოფება, მოგვანოდოს ზუსტი, მიუკერძოებელი და სწორად პროგნოზირებადი ინფორმაცია, თუ რა ხდება ჩვენს გარშემო. ამ სამსახურს სერიოზული გაძლიერება სჭირდება. მან სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო, ვერ შექმნა ისეთი პროდუქტი, როგორც ჩვენ ვისურვებდით...“

საქართველოს მთავრობას სჭირდება სერიოზული ინფორმაცია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. ეს არის დიდი ქსელის მქონე სამსახური და იმედი მაქვს, იგი ამოუშავდება ისე, როგორც საჭიროა! გელა ბეჟუაშვილი ჩემი პირადი მეგობარია ბოლო ოცი წლის განმავლობაში. მე ამ თანამდებობაზე ვნიშნავ ადამიანს, ვისაც შეუძლია, ნულიდან და რთული სიტუაციებიდან სამსახურების აწყობა. მე გელას ვენდობი, რაც მთავარია, როგორც პროფესიონალს, ვენდობი ადამიანს, რომელსაც შეუძლია ობიექტური ანალიზი და მიუკერძოებელი პროგნოზების გაკეთება. ჩვეულებრივ, გელას ისეთ სამსახურში ვაგზავნი, სადაც ბევრი პრობლემაა!

ეს არის პიროვნება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თავდაცვის სამინისტროს განვითარებას. შემდეგ ააშენა ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელიც, ფაქტობრივად, არასდროს არსებობდა საქართველოში ისეთი ფორმით, როგორცაა უნდა ეარსებებინა, — ამ სიტყვებით 2008 წლის 1 თებერვალს პრეზიდენტმა სააკაშვილმა საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გელა ბეჟუაშვილი დაზვერვის დეპარტამენტის უფროსად დანიშნა.

მას შემდეგ გელა ბეჟუაშვილის სამსახურიცა და მისი 160-კაციანი შტატიც ხელშეუხებელია. 5-მილიონიანი დაფინანსების პირობებში, მისი ეფექტური მუშაობა, რაც ქვეყნის საგარეო კურსსა და უსაფრთხოებაში უნდა გამოიხატებოდეს, მაინცდამაინც, ვერ დაინახეთ, თუმცა ერთადერთი უწყება, რომელსაც საკადრო ცვლილებები „ოცნების“ ხელისუფლების პირობებშიც არ შეეხო და ვერც შეეხებოდა, ეს სწორედ გელა ბეჟუაშვილის სამსახურია.

კანონში საქართველოს დაზვერვის შესახებ პირდაპირაა მითითებული, რომ სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულა მხოლოდ პრეზიდენტისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს წინაშე.

2008 წლის შემდეგ ბეჟუაშვილსა და მის უწყებაზე ინფორმაცია, ფაქტობრივად, არ არსებობს. საერთოდ, ამ სამსახურის არსებობის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ჭორი და მამინდელი ოპოზიციის ბრალდების გახსენება შეიძლება —

ბეჟუაშვილი რუსეთთანაა შეკრული! 2012 წელს, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ კითხვა, რომ საგარეო დაზვერვის სპეციალური

სამსახურის უფროსმა თანამდებობა დროებით დატოვა. ინფორმაცია ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა დაადასტურა და განაცხადა, ბეჟუაშვილი აშშ-ში კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაემგზავრა, საიდანაც აპრილის შუა რიცხვებში დაბრუნდება. დაბრუნდა თუ არა საქართველოში, რჩება თუ არა პოსტზე და საერთოდ, ქვეყნისთვის ასეთ კრიზისულ ვითარებაში, როცა ავღანეთში ჯარისკაცებიც პანტა-პუნტი ვეცხოვება და ოკუპანტი რუსეთი ქვეყნის საზღვრებს არღვევს, სად არის და რას აკეთებს საგარეო დაზვერვის სპეცსამსახური?!

რა როლი აქვს ამ სამსახურს ქვეყნის უსაფრთხოებაში, ამის შესახებ „ვერსიას“ იურისტი და ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში **ლევან ალაფიშვილი** ესაუბრება:

„ზოგადად, დაზვერვის სისტემა შედგება კონტრდაზვერვისგან და შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო ქვედანაყოფებისგან. თავდაცვის სამინისტროს კომპეტენცია შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო და თავდაცვითი საკითხებით, ხოლო შს სამინისტროს ფუნქცია, ძირითადად, საზღვრის დაცვისა და შიდა უზრუნველყოფის საკითხებს მოიცავს. დაზვერვის სისტემაში მაკოორდინირებელი როლი, რა თქმა უნდა, დაზვერვის სახელმწიფო სამსახურია, რომელსაც კონტრდაზვერვო ფუნქცია აქვს — ეს ქვეყნის ფარგლებსგარეთ სპეციალური ოპერატიული სადაზვერვო საქმიანობის წარმართვას ნიშნავს. კანონში გარკვევით ნერია, რომ ეს სამსახური არის აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი, გასამხედროებული, დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც პრეზიდენტისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს დაქვემდებარებაშია. ამ ორგანოს უშიშროების საბჭოდან უნდა მიენიჭებოდეს ინფორმაცია, რომლის მიხედვით უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს. მათ კი უკვე პრეზიდენტი ამტკიცებს.“

იურიდიული თვალსაზრისით, გელა ბეჟუაშვილის შეცვლა პრემიერსა და პარლამენტს არ შეუძლია. კანონით, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში ხელმძღვანელი პირების მოხსნა-დანიშვნის ერთადერთი და ექსკლუზიური უფლება აქვს პრეზიდენტს. ამ თანამდებობაზე შორის, რა თქმა უნდა, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტიც მოიაზრება!

„ვერსია“ იმითაც დაინტერესდა, სამართლებრივად, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ურთიერთობა პრემიერ-მინისტრის აპარატთან, შს და თავდაცვის სამინისტროებთან და პარლამენტთან როგორ რეგულირდება. როგორც ირკვევა, გელა ბეჟუაშვილი და ყველა ეს უწყება ერთმანეთთან ინფორმაციის მუდმივად გაცვლის რეჟიმში უნდა იყოს და ამის შესახებ ინფორმაციას ჩვენც, სამოქალაქო საზოგადოებასაც უნდა გვანვიდინენ: „კონტრდაზვერვის დეპარტამენტს უნდა ჰქონდეს პირდაპირი კავშირი შს და თავდაცვის სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფებთან, უნდა ხდებოდეს ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა, სხვადასხვა პროგრამების შემუშავება, რომელთაც მერე, უშიშროების საბჭოს გავლით, საქართველოს პრეზიდენტი ამტკიცებს. საუბარია, მაგალითად, ინფორმაციაზე ტერორიზმის შესახებ საფრთხის შესახებ და ა.შ. ზოგადად, ამ უწყების მუშაობის შეფასება საკმაოდ რთულია, რადგან მასში არცაა ხელისუფლების 99%, კანონით, დახურული და გასაიდუმლოებულია. თუმცა, როგორც მინიმუმ, უნდა ვიცოდეთ, რა საფრთხეები იქნა იდენტიფიცირებული და თავიდან არიდებული ამ უწყების მიერ.“

დასასრული მე-4 გვერდზე

## მიხეილ სააკაშვილი: „უშიშროების საბჭო არის ფორმატი, სადაც ყველანი უნდა დავდეთ პიროვნული ემოციების, ანტიპათიებისა და დაპირისპირების ზემოთ, რადგან საქმე ეხება ქვეყნის უსაფრთხოებას, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოს სხდომის დაწყებისას განაცხადა. მიხეილ სააკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ შემდეგი შეხვედრები უფრო წარმომადგენლობითი იქნება, რადგან პიროვნულზე მაღლა ქვეყანა და მისი ინტერესები დგას.“

„პოზიტიური მოვლენაა, რომ უშიშროების საბჭოს სხდომები განახლდა. ჩვენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებით გვაქვს დაკომპლექტებული უშიშროების საბჭო, მთავრობა და პრეზიდენტის ადმინისტრაცია. ჩვენ შეიძლება განვსხვავდებოდეთ საქართველოს უახლოესი წარსულის შეფასებებით, ანმყოს ალქმით და საქართველოს მომავლის ხედვით, მაგრამ არ შეიძლება, განვსხვავდებოდეთ მთავარ საკითხებში — ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება ყველასთვის ერთნაირად საზრუნავია და მნიშვნელოვანი. უშიშროების საბჭო არის ზუსტად ის ფორმატი, რომ ყველანი ბევრ საინტერესოს ვიგებთ და ვუზიარებთ ერთმანეთს. ეს საბოლოო ჯამში, ქვეყანას წაადგება და ხელს შეუწყობს საქმიან ატომოფეროს ზოგადი პოლიტიკური დავების, ურთიერთბრალდებებისა და ზოგადი პოლიტიკური კონკურენციის მიუხედავად“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, დახურულ კარსმილმა ბევრი საკითხი უფრო ადვილად წყდება და ასეც უნდა იყოს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში.

„ჩვენ, იმედია, საქართველოში ვაშენებთ დემოკრატია, ამიტომ მივესალმები ამ შეკრებას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, დღევანდელ საკითხებზე, რომელსაც ვიხილავთ, გვექონდეს აზრთა გულწრფელი გაცვლა-გამოცვლა — ეს არის ავღანეთში მომხდარი შეტევა ჩვენს ჯარზე, უპრეცედენტოდ დიდი მსხვერპლით. საქართველოს თავდაცვის მინისტრი იყო ადგილზე და მას აქვს დაწვრილებითი ინფორმაცია. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ გენშტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალმა კაპანაძემ ძალიან საინტერესო და ამომწურავი განმარტებები მისცა ამ თემაზე ქართულ საზოგადოებას და დასაფასებელია, როდესაც სამხედროები ხალხისთვის მისაწვდომ ენაზე ხსნიან ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, დახურულ კარსმილმა ბევრი საკითხი უფრო ადვილად წყდება და ასეც უნდა იყოს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში.

„ჩვენ, იმედია, საქართველოში ვაშენებთ დემოკრატია, ამიტომ მივესალმები ამ შეკრებას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, დღევანდელ საკითხებზე, რომელსაც ვიხილავთ, გვექონდეს აზრთა გულწრფელი გაცვლა-გამოცვლა — ეს არის ავღანეთში მომხდარი შეტევა ჩვენს ჯარზე, უპრეცედენტოდ დიდი მსხვერპლით. საქართველოს თავდაცვის მინისტრი იყო ადგილზე და მას აქვს დაწვრილებითი ინფორმაცია. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ გენშტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალმა კაპანაძემ ძალიან საინტერესო და ამომწურავი განმარტებები მისცა ამ თემაზე ქართულ საზოგადოებას და დასაფასებელია, როდესაც სამხედროები ხალხისთვის მისაწვდომ ენაზე ხსნიან ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.



## დავით ბაქრაძე: „უშიშროების საბჭოს სხდომაზე ელჩებთან დაკავშირებული თემის წამოწევა, — განაცხადა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ, რომელიც გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრის განცხადებას იმის თაობაზე, რომ სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე პრეზიდენტისგან დაინტერესდება, რატომ უშლის ხელს ელჩების დანიშვნის პროცესს.“

ბაქრაძის განმარტებით, სხდომაზე დღეს ერთი კონკრეტული საკითხი არსებობს და ის რამდენიმე დღის წინ ინტერნეტ სივრცეში გავრცელებულ ვიდეომასალებს უკავშირდება. „დღეს არსებობს ერთი კონკრეტული საკითხი, რომელიც ალექსანდრე ჩვენს მოსახლეობას, არსებობს რაღაც პოლიტიკური ძალა ან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ჩვენს ქვეყანასა და ქართულ შეიარაღებულ ძალას ტერაქტების მოწყობით, აფეთქებებით და მკვლელობით ემუქრება. ეს სახეობის საკითხი, რომელზეც ყველამ სერიოზულად უნდა ვიმსჯელოთ. როგორც სახელმწიფო მოხელეები, ჩვენ ვალდებული ვართ გვერდზე გადავდოთ ყველა სხვა საქმე, დავსხდეთ ერთად და მოვიფიქროთ ზომები, თუ როგორ დავიცვათ ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ჯარისკაცების სიმშვიდე და უსაფრთხოება. ამიტომ ჩემთვის გაუგებარი და აბსოლუტურად მიუღებელია ნებისმიერი სხვა თემის წამოჭრა. რა კავშირშია ტერაქტებთან ჩვენი ელჩების დანიშვნა არდანიშვნა?!“ — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

„ინტერპერსონული“













# რას გადაურჩა ჩვენი ეკონომიკა კომუნალური ტარიფების უზრუნველყოფის შედეგად

ზურაბ ბამრაქაძე

წინასწარჩვენი დაპირებებიდან ერთ-ერთი უმთავრესი – კომუნალური ტარიფების შემცირების დაპირების შესრულებით, ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ ჩვენი ეკონომიკა ე.წ. ჭენებად ინფლაციისაგან იხსნა. სწორედ გაზის, ელექტროენერჯის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტარიფების ზრდა მიჩნეული რუსეთის ფედერაციაში დღევანდელი ინფლაციური პრობლემების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად...



## რამ ნარჩუნდა რუსეთის დღევანდელი ეკონომიკური პრობლემა

ექსპერტების გათვლით, რუსეთში 2013 წელს, ისევე როგორც 2014 და 2015 წლებში, კომუნალური მომსახურების ტარიფები გაიზარდა ორჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე საშუალო ხელფასი. უახლოესი გაძვირება უკვე ამ ზაფხულს – 1 ივლისს მოხდება. გაზის მოსახლეობისთვის გაძვირდება 15%-ით, ხოლო ელექტროენერჯია და სხვა კომუნალური სერვისები – 12-15%-ით, რეგიონიდან გამომდინარე.

ამავდროულად, მოხდება სატრანსპორტო ტარიფების მატებაც. ამასთან, რფ-ს საანგარიშო პალატამ მთავრობას შესთავაზა, გაყინოს კომუნალური მეურნეობის ხარჯები, მინიმუმ, 3 წლით, რადგანაც გასულ ზაფხულში ამ გადასახდელების ზრდა არ იყო ახსნილი გასაგები დასაბუთებით და არ არსებობს დარგში ფასწარმოქმნის კონტროლის მექანიზმი. ამასთან, პალატის თავმჯდომარის, ს. სტეპაშინის განმარტებით, 2013-2015 წლებში დაგეგმილი ფასების ზრდა მნიშვნელოვნად აღემატება პრეზიდენტ ვ. პუტინის მიერ წინასწარჩვენი დადგენილ მიზნობრივ ორიენტირს – საშუალოდ 6%-ს (მაგრამ არაუმეტეს 15%-ისა ცალკეულ რეგიონებში). ეს 6% შეესაბამება ინფლაციის საშუალოწლიურ ტემპს, რითაც რფ-ს მთავრობაში ხსნიან ტარიფების მატების ახლანდელ ტალღას. თუმცა, სწორედ ტარიფების მატებაა ინფლაციის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი. გაზისა და ელექტროენერჯის 3-4%-ის ფარგლებში ინფლაცია იქნებოდა სწორედ ინფლაციის ტემპების შესაბამისი, რადგანაც ის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად დაიკლებდა.

სწორედ ასეთი წინადადება წამოაყენა ამას წინათ ს/ს „საბაზო ელემენტის“ მფლობელმა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ოლეგ დერიპასკამ. თავის ინტერვიუში მიუთითა, რომ რუსი მენარმეებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ბუნებრივი მონოპოლების ტარიფების ზრდის ზღვრის დაწესება, წინა წლის ინფლაციის დონის 75%-ის ფარგლებში. ოლეგ დერიპასკას აზრით, ელექტროენერჯის, გაზისა და სატვირთო გადაზიდვების ტარიფების რეგულარულ ზრდას მოსდევს მსოფლიო ბაზარზე რუსული მრეწველობის კონკურენტუნარიანობის სწრაფი შემცირება, მომავალში კი, ეს პროცესები რუსული ბიზნესის ადგილობრივი ბაზრიდან გაძევებასაც კი გამოიწვევს.

ბატონ ოლეგ დერიპასკას შიში უსაფუძვლო წამდვილად არ არის. მარტო ბოლო 12 წელიწადში, „როსსტატის“ ინფორმაციით, ბუნებრივი აირი რუსეთში მოსახლეობას გაუძვირეს 10-ჯერ, წყალმომარაგება – 14-16-ჯერ, ელექტროენერჯია – 7.5-ჯერ, კომუნალური მეურნეობის მომსახურება – 13-15-ჯერ. აღსანიშნავია, რომ რუსულმა მრეწველობამაც, მოსახლეობის მსგავსად, სწორედ ასეთივე ინფლაციური სტრესი გადაიტანა, რამაც ქვეყანაში კლასიკური ინფლაციური „სპირალი“ წარმოქმნა.

რუსეთის პრემიერმა დიმიტრი მედვედევმა არაერთხელ გასცა განკარგულება რფ-ს ცალკეული უწყებების მისამართით, რომ მოემზადებინათ კონკრეტული წინადადებები ტარიფების შემცირებაზე, მაგრამ კონკრეტული გადაწყვეტილებების შესახებ ცნობები „თეთრი სახლიდან“, ჯერჯერობით, არ ჩანს.

## როგორი სახის ინფლაციაა რუსეთში დღეს

ინფლაცია ფასთა საერთო დონის ზრდაა მსყიდველობითუნარიანობასთან მიმართებაში. შესაბამისად, ინფლაცია ასევე მოიაზრება, როგორც ფულის მსყიდველობითი უნარის კლება. ინფლაცია დეფლაციის ანტიპოზიტი. ზოგიერთ კონტექსტში სიტყვა „ინფლაცია“ გამოიყენება ფულის მინოდების ზრდის მნიშვნელობით, რასაც განიხილავენ, როგორც ფასთა ზრდის მიზეზს. ასე მაგალითად, 1920-იანი წლების აშშ-ს ეკონომიკის ზოგიერთი ანალიტიკოსი მიუთითებდა მაშინ არსებულ ინფლაციაზე, მიუხედავად იმისა, რომ ფასები იმ პერიოდში არ იზრდებოდნენ.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში განასხვავებენ ინფლაციის 3 ტიპს:

1) ხარჯების ზრდით განპირობებული ინფლაცია — რასაც დღევანდელ პირობებში „მინოდების შოკის“ ინფლაციასაც უწოდებენ, რაც სანვრის მინოდების მკვეთრი შემცირებითაა გამოწვეული. თავის მხრივ, ეს ინფლაცია აძვირებს საქონლის იმპორტის ტრანსპორტირებასაც, რაც განსაკუთრებით რუსეთისთვისაა ზარალის მომტანი, რომლის საგარეო-სავაჭრო ბალანსიც ნახშირწყალბადებზე ორიენტირებული და სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ხვედრითი წილი მაღალია. იმპორტისა და მომსახურების ტარიფების გაძვირება და ნახშირწყალბადების გაიფება კი, ნეგატიურად მოქმედებს მთლიანად ქვეყნის საგადასახდელო ბალანსზე;

2) მოთხოვნის ზრდით გამოწვეული ინფლაცია — ანუ ინფლაცია დაბალი უმუშევრობისა და საქონელზე მაღალი მოთხოვნის პირობებში; რუსეთში მაღალი უმუშევრობის და, აქედან გამომდინარე, დაბალი მოთხოვნის გამო, ამ ტიპის ინფლაცია დღეს არ არის;

3) ჩამწევი ინფლაცია — გამოწვეული თანმდევითი მოლოდინით, რაც ხშირად უკავშირდება „ფასი/ხელფასის ინფლაციურ სპირალს“, ვინაიდან ის აიძულებს დასაქმებულებს, ხელფასები მოითხოვონ ფასებზე მეტი და შემდეგ მენარმეებს აიძულებს, მომხმარებლებს უკვე გაძვირებული პროდუქცია შესთავაზონ. ამ დროს განვითარება ხდება „მოჯადოებულ წრეში“. ასეთ ინფლაციაზე აისახება გასულ პერიოდში მომხდარი მოვლენები, ამიტომ ზოგიერთი თანამედროვე ეკონომისტი, მაგალითად, ამერიკელი ობერტ ჯონსონი, მას „ნაბახუსევის ინფლაციასაც“ უწოდებს. ეს სახეობაც არა არის დღეს რუსეთში, რადგანაც ის დასაქმების გარკვეულ მაღალ დონეზე ჩნდება.

ამრიგად, როგორც ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან ჩანს, ინფლაციის განხილული ტიპებიდან რუსეთში დღეს ადგილი აქვს „ხარჯების ზრდით“, ანუ სანვრის ფასების და კომუნალური ტარიფების მომატებით განპირობებულ ინფლაციას.

## რუსეთის კომუნალური მომსახურების ტარიფების გაძვირების მიზეზები

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ტარიფების მატების მიზეზია რუსული ენერჯეტიკული გიგანტების – „გაზპრომისა“ და „როსნეფტის“ საგარეო ეკონომიკური პრობლემები, რაც მათ აიძულებს, საგარეო ბაზრებზე მიღებული ზარალი, შიდაბაზრის ფასთა მატებით აინაზღაურონ.

რუსული „ნეზავისიმია“ გაზეტას „მეორე გამოკითხული ექსპერტების აზრით, „გაზპრომისთვის“ თანამედროვე ენერგობაზრის კონიუნქტურა საკმაოდ არახელსაყრელად ყალიბდება. კერძოდ,

## პერსონალი

### IDFI: „გიორგი ქადაგიძის ყოველთვიური შემოსავალი 16 000 ლარს უტოლდება“



ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის ყოველთვიური შემოსავალი 16 000 ლარს უტოლდება, – ამ ინფორმაციას IDFI ავრცელებს.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, გიორგი ქადაგიძეს აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობისას პრემია არ აუღია.

„სამწუხაროდ, ეროვნულმა ბანკმა არ მოგვანოდა ინფორმაცია თანამდებობრივი სარგოების შესახებ, თუმცა გიორგი ქადაგიძის ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ პრეზიდენტის პოზიციაზე მისი წლიური შემოსავალი 150 000 ლარს შეადგენს, რაც თვეში 12 500 ლარის შესაბამისია. ამას გარდა, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის სახით ის კიდევ 42 000 ლარს იღებს წლიურად. შესაბამისად, გიორგი ქადაგიძის ყოველთვიური შემოსავალი 16 000 ლარს უტოლდება“, – ნათქვამია IDFI-ის სტატიაში.

IDFI-ის ინფორმაციით, საშტატო ნუსხის მიხედვით, ბანკში სულ 342 ადამიანია დასაქმებული. თანამშრომლებს 2012 წლის მანძილზე დაერიცხათ 2 392 647 ლარის პრემია. თანამშრომლებს ერთ ჯერზე, ყველაზე დიდი რაოდენობის პრემია დაერიცხათ მისისა (744 745 ლარი) და დეკემბერში (738 650 ლარი). ამას გარდა, 2013 წლის იანვარ-მარტის პერიოდში, თანამშრომლებზე პრემიების სახით გაცია 245 534 ლარი.

2012 წლის იანვრიდან 2013 წლის 1 აპრილამდე, ეროვნულმა ბანკმა 16 ავტომობილი შეიძინა, რისთვისაც 696 000 ლარი დახარჯა. შეძენილ იქნა 2011 წელს გამოშვებული „ტოიოტა ავენსისი“ 15 ცალი, ერთეულის ფასით 43 100,67 ლარი და ასევე, 2012 წელს გამოშვებული 49 489,95 ლარის ლიზინგის „ტოიოტა ქემრი“.

„ინტერპრესნიუსი“

### საქართველოში 12-14 ივნისს გაიმართება



როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრიდან სვეტლანა ნიორაძემ აცნობა, დღეს საქართველოს უმეტეს რაიონებში იწვივება. ნა-

ლექი დღის ბოლოსთვის შემცირდება. ჰაერის ტემპერატურა თბილისში 20 გრადუსამდე იქნება, მთელი ქვეყნის მასშტაბით კი 19-24 გრადუსამდე.

სინოპტიკოსთა განცხადებით, ხვალ შედარებით უკეთესი ამინდია მოსალოდნელი, თუმცა ზოგიერთ რაიონებში ნვიმა შენარჩუნდება, მათ შორის, დროგამოშვებით იწვივებს თბილისშიც. ჰაერის ტემპერატურა კოლხეთის დაბლობსა და ალმოსავლეთ საქართველოში 27 გრადუსი იქნება.

12-14 ივნისის კი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოიდარება.

„ინტერპრესნიუსი“







**ადვილი**

**სტანდარტი**

**რთული**

**ექსპერტი**

8			9		6
				3	9
1		6	7		
	5		2		8
6	2		8		4 3
	1		3	5	
			2	9	4
3		4			
	6		4		1

3		5				4
			4	7		3
4				3		1 8
		7	2			
		1	9	6	7	3
					1	4
6		3		8		9
	5			2	4	
2						6 7

		8		2		5 1	
		6				4 8	
				5			7
					7	8	
	9	2	6		4	7	8
				2	1		
1					5		
6		9					3
4	7						9

3	5				1	9	8	7
					2	7	6	
								1
		9			6	7		
				6		9	8	
		3	7					9
6								
			9	6	1			
1	2	7	8				6	3



1. დანაწილების გამოშვებული შორისდებული

2. მტაცებელი ფრინველი

3. დღეობუდა მაღალმთის მთსაფიანო ფოლი

4. ერთგვარი საწერი მავიდა

5. სპორტული შეჯ. დაწყების მიმუტე

6. ნესის მხელუტე მკურნალობა

7. „სათი-ლაპურა ბალეტი“

8. იტალიური პელმენი

9. ძვირფასი სარეწაო თევზი

10. პლატონის ფილოსოფიის სკოლის სახელწოდება

11. აფრიკის შოტლანდიელი მკვლევარი

12. ავამემონის ვაჟი

13. პოლიუდის მსახიობი

14. „სამეფო“ ფორტე-პიანო

15. საქონლის წვნიანი საკვები

16. მეგობრულ მომთაბარე მოსახლოება ქვეშე ქართლში XVI-XIX საუკუნეებში

17. ინგლ. მომღერალი - სტიუარტი

18. ბანგლადეშის დედაქალაქი

19. მამათა დიდი მონასტერი

20. ჩრდ. კორეის ბელადი კიმ ჩენ -

21. სქესობ. ლტოლვის გაძლიერება ცხოველებში

22. დღი ადმინისტრაციული ტერიტორიის ერთეული

23. სეფანის ტბის კალმახი

24. პირველი პირის ნაცვალ-სახელი

25. ავსტრალიის დედაქალაქი

26. დამუტული ატომი

27. თვალის ფერადი ვარსი

28. საგანთა ჩამონათვალი

29. პიგმალონის ქანდაკება

30. რომის ერთ-ერთი ბორცვი

31. (მუს.) შესრულების თავისუფალი სტილი

32. სამხედრო ნადავლი

33. ივივ. რაც მადა

34. ხის ცხენით დაპყრობილი ქალაქი

35. ზიტას ტყუპის (ვალი ინდური ფილმში)

36. ზამბიის დედაქალაქი

37. მეგრ. მურჭინანი მცენარე

38. ჩინეთის ავტონომიური ტერიტორია

39. ქართული ხალხური ცეკვა

40. ოთახის დეკორატ. მცენარე

41. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნ. მით.

42. ისტ. მხარე სამხრეთ საქართვე.

43. რუსული შოუბი-ზენის ვარსკვლავი

44. ტბა იტალიაში

45. ბიბლიური პატრიარქი, კიდონის ამეტი

46. „სამკითხაობა“ ყვავილი

47. ქართ. ანანის ბოლო ასო

48. ჩეილი ბაუშის საწოლი

49. მუსიკალ. გამის III ნოტი

50. პრომეთეს ძმა ბერძნულ მითოლოგ.

51. ტაივანის დედაქალაქი

52. შამიანი გველი

53. (ძვ.) უმჯობეს მისხამარი

54. მუდმივ მათემატიკაში

55. დ. კლიაშვილის პერსონაჟი, ღიერების პატრონი

56. „შეწირულს“ ერთ-ერთი მოდელი

57. დომინიკური კარტი

58. მსახიობი - ნოლტი

59. ღვინის ობი

60. იანის მეწყვილე ჩინურ ფილოსოფ.

61. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი

62. ერთგვარი პატარა მამიძე

63. ზოლიაქის ნიშანი

64. „რეალის“ კაპიტანი ... კასილასი

**წინა ნომერში გასული სკანდორი და სუდოკუს პასუხები**

**ადვილი**      **სტანდარტი**      **ადვილი**      **სტანდარტი**

4	9	8	7	3	2	6	5	1
1	6	5	4	9	8	7	3	2
3	7	2	5	6	1	9	8	4
2	5	1	6	8	7	4	9	3
9	8	7	3	4	5	2	1	6
6	4	3	1	2	9	5	7	8
5	3	9	2	1	6	8	4	7
8	2	4	9	7	3	1	6	5
7	1	6	8	5	4	3	2	9

**რთული**      **ექსპერტი**

4	1	7	2	3	9	8	6	5
3	6	5	1	7	8	9	4	2
2	8	9	6	5	4	3	7	1
7	9	6	5	4	3	2	1	8
1	2	8	9	6	7	5	3	4
5	4	3	8	2	1	7	9	6
9	5	4	7	1	2	6	8	3
8	3	2	4	9	6	1	5	7
6	7	1	3	8	5	4	2	9

მე-16 გვერდი: 1. ქსანთი; 2. სანტიაგო; 3. ნეკი; 4. ინა; 5. ფლემინგი; 6. „ლეზბიკა“; 7. მეტიქსედეკი; 8. ნაურუ; 9. ანაკონდა; 10. ღია; 11. ძმარი; 12. ეტი; 13. უზბოლონი; 14. ცამეტი; 15. ნანი; 16. ამუნიცია; 17. არატი; 18. აკილო; 19. შალე; 20. აგარაკი; 21. ამბი; 22. ნასა; 23. მე; 24. ალიზი; 25. მესა; 26. ალკმენე; 27. პრინციპი; 28. უგანდა; 29. ადიტი; 30. მეგრე; 31. სალვადორ დალი; 32. იერი; 33. ელ; 34. აგრიკოლა; 35. იდეა; 36. ომარი; 37. გალიერა; 38. მტილი; 39. ტენორი; 40. კაა; 41. მროველი; 42. კაი; 43. რაკია; 44. გორი; 45. რიმა; 46. დრო; 47. უშუ; 48. რაკეტა; 49. „კია“; 50. პან; 51. დინო; 52. კუ; 53. მუ; 54. ცია; 55. ნანდაური; 56. ლაშარი; 57. დონ; 58. ალო; 59. ლა; 60. ჰა; 61. შუ; 62. არა; 63. გო; 64. უნა; 65. პანამა. მე-17 გვერდი: 1. ავზი; 2. არზა; 3. აკომპანემენტი; 4. ენძელა; 5. ემზაზი; 6. ტალერი; 7. ზვირთი; 8. ბესბოლი; 9. ასაბია; 10. ძაბული; 11. ესტრადა; 12. იგ-რინდა; 13. აისბერგი; 14. საგა; 15. ალია; 16. ლაზური; 17. სვინგი; 18. ოპიზარი; 19. ალიბი; 20. აბორტი; 21. ყბედი; 22. ფისი; 23. ეტუში; 24. ერბო; 25. მექა; 26. არი; 27. რადა; 28. დიდედა; 29. ალუპო; 30. სტაიერი; 31. მატრიოშკა; 32. ქვისლი; 33. გულიტი; 34. ბუზი; 35. ალენი; 36. გრენობლი; 37. სპერი; 38. სპიდომეტრი; 39. რისკი; 40. ფაი; 41. აბასთუმანი; 42. ერი; 43. ჭრელი; 44. მიშა; 45. ფიალა; 46. ოტიტრი; 47. უდე; 48. პერი; 49. ალაო; 50. აია; 51. ერეზოლი; 52. ირონია; 53. იმბასი; 54. საკე; 55. ხმა; 56. ვერიკო; 57. რაუტი; 58. ანჯე; 59. ტანი; 60. თია; 61. ისი; 62. ყბა; 63. მაკე; 64. ხვალ; 65. თათარა; 66. ამო; 67. ანიმი; 68. ფულია; 69. რუტინა; 70. ული; 71. რი; 72. ადესა; 73. ფლატე; 74. უჯარმა; 75. რაფია; 76. აგორა; 77. იაფი; 78. ღვინე; 79. მენელა; 80. ენგრი; 81. იდია; 82. ნისლი; 83. მი; 84. ედა; 85. არიადნე.







ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

5x5 grid puzzle with numbers 1-9.

5x5 grid puzzle with numbers 1-9.

5x5 grid puzzle with numbers 1-9.

5x5 grid puzzle with numbers 1-9.

სიყვარულს შოკოლადს გამოუშვებენ



ტკბილეულის მწარმოებელი კომპანია Mondelez International Inc აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში მომხმარებელს სიყვარულს შოკოლადს შესთავაზებს, რომლის პრეზენტაცია მომავალ კვირას იგეგმება.

კოცნა ჰორმონალურ ცვლილებებს იწვევს



აშშ-ს ლაფაიეტის სამედიცინო კოლეჯის მეცნიერებმა გაარკვეეს, რომ ერთგვარი მოდუნებისა და მღელვარების შეგრძნება კოცნის დროს წარმოიშობა მთელი რიგი ქიმიური პროცესების გამო, რომლისთვისაც ამავედროულად, ძალიან მნიშვნელოვანია გრძნობა პარტნიორის მიმართ.

ლამაზ ქალებს ყვასოდ აჯიყვენ

ბრაზილიაში მდებარე იტალიური რესტორნების ქსელში აქცია გაიმართა სახელწოდებით „ლამაზი ქალები ფულს არ იხდიან“.



რესტორანი ციხის კერძით უმასპინძლდება



ამომავალი მზის ქვეყანაში, კუნძულ ჰოკაიდოზე მდებარე ქალაქ აბაშირიში, ერთ-ერთი რესტორანი კლიენტებს ციხეში მომზადებული კერძით უმასპინძლდება.

პდასციკურ ოპერაციას ენაზე იკეთებენ

ამის ერთადერთი მიზანი ნონაში დაკლებაა. ჩვეულებრივ, ადამიანები გასახდომად ვარჯიშობენ, რაციონიდან ნოყიერ კერძებსა და ცომეულს იღებენ, თუმცა, ვენესუელელი მანდილოსნები გაცილებით რადიკალური ზომების მომხრენი არიან — ზედმეტი კილოგრამების მოსაცილებლად ისინი პლასტიკურ ოპერაციას იკეთებენ ენაზე.



ჩინელებს კაცების ცდუნებას ასწავლიან



შანხაში გაიხსნა კურსები 35 წელს გადაცილებული მანდილოსნებისთვის. პროგრამის რეკლამა მსურველებს პირდება, რომ სამი თვის განმავლობაში ისინი შეძლებენ, დაეუფლონ მომხიბვლელობის ილეთებს, რათა უცხოელებზე წარმატებით გათხოვდნენ.

# დასვის პოლიცია მოხმარებულს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.



GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- სანვაის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასო).



## შენიშვნა ყოველწლიურ ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სასკოლის დღესასწაულის „ყოველთა დედოფლის საჯარო“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებთა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოხედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამოვრდნა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირამი 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები.

მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯგოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილიანის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალა შეიხიროთ. პანტანასას ღვთისმშობელა დაგლოსოთ!**

## Business Insider: „ბიძინა ივანიშვილი ერთი მილიარდი დოლარის ღირებულების ხელოვნების ნიმუშების მფლობელია“

ავსტრალიური ონლაინგამოცემის Business Insider-ის ინფორმაციით, საქართველოს პრემიერი 1 მილიარდი დოლარის ღირებულების ხელოვნების ნიმუშების მფლობელია. გამოცემა მსოფლიოში იმ 10 მილიარდერის რეიტინგს აქვეყნებს, რომელთაც ყველაზე მეტი ფული აქვთ გადახდილი ხელოვნების ნიმუშებში, სადაც საქართველოს პრემიერ მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი მე-4 ადგილზეა.

როგორც Business Insider აღნიშნავს, საერთო ჯამში, ხელოვნების ნიმუშებში გადახდილი თანხა ივანიშვილის ქონების 15,6%-ს შეადგენს.

„2006 წელს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, რომელიც ქვეყნის უმდიდრესი ადამიანია, 95 მილიონი დოლარი გადაიხადა პაბლო პიკასოს ფერწერულ ტილოში „დორა მარია კატასთან ერთად“, — წერს ავსტრალიური გამოცემა და აქვე აღნიშნავს, რომ აღნიშნული თანხა იმ დროისთვის აუქციონების ისტორიაში ხელოვნების ნიმუშში გადახდილი ყველაზე დიდი თანხა იყო.

„ნიუპოსტს“



**ვერსია**  
 მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.  
 e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge  
 UDC(უაპ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი  
 მაია ფურცელაძე (599) 62-88-77  
 პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი  
 მდივანი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,  
 ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,  
 დავით დევიძე, ნათია ვასაძე.  
 სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანიძე  
 დიზაინერი – გიორგი ლომსაძე  
 ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699  
 9 771987 186903

დაცულია საავტორო უფლებები.  
 რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.